საბავშვო ბაღები თანამედროვე სტანდარტებით

საქართველოს პრემიერ-მინისტრის ირაკლი ღარიბაშვილის ინიციატივით, ქვეყნის მასშტაბით, 885 საბავშვო ბაღის მშენებლობა-რეაბილიტაცია განხორციელდება.

აღნიშნული პროგრამის ფარგლებში, მხოლოდ მიმდინარე წელს სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში 23 ახალი საბავშვო ბაღის მშენებლობა და 23 საბავშვო ბაღის სრული რეაბილიტაცია დაიწყება.

რეგიონის მასშტაბით 2021-2022 წლებში დაიწყო და მიმდინარეობს–12 საბავშვო ბაღის მშენელობა და დასრულდა 4 საბავშვო ბაღის მშენებლობა.

რეგიონის მასშტაბით 2021-2022 წლებში ჩვენს მუნიციპალიტეტში რეაბილიტაცია ჩაუტარდა 1 საბავშვო ბაღს.

ბაღები, რომელთა მშენებლობაც ხობის მუნიციპალიტეტში 2023 წელს დაიწყება:

სოფელ ხამისკურის საბავშვო ბაღი.

სოფელ ნოჯიხევის №2 საბავშვო ბაღი.

ხობის სოფელ საჯიჯაოს საბავშვო ბაგა-ბაღი.

საბავშვო ბაღები თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად აშენდება და რეაბილიტირდება.

სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოებს საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მუნიციპალური განვითარების ფონდი განახორციელებს.

წარჩინებული მოსწავლეები დაჯილდოვდნენ

ხობის მუნიციპალიტეტის მერიაში, მუნიციპალიტეტის საჯარო და კერძო სკოლების წარჩინებულ მოსწავლეთა დაჯილდოების ღონისძიება გაიმართა.

მოსწავლეებს სკოლის ოქროსა და ვერცხლის მედლებზე დამთავრება ხობის მუნიციპალიტეტის მერმა ბატონმა **დავით ბუკიამ** მიულოცა და სიგელები გადასცა.

შეხვედრას მერის მოადგილე დავით ბერაია და სკოლების პედაგოგები ესწრებოდნენ.

„ხობის მუნიციპალიტეტში განათლების ხელშეწყობის მუნიციპალური პროგრამის“ ფარგლებში თითოეულ მოსწავლეს ადგილობრივი ბიუჯეტიდან პირად ანგარიშზე ფულადი თანხა ჩაერიცხება.

ვულოცავთ

დიანა ლომაია სწრაფ ჭადრაკში მსოფლიო ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორია

ასე იწყებოდა ყველაფერი...

5 წლის იყო დიანა ლომაია, როდესაც მშობლებმა ჭადრაკის წრეში მამუკა გეთიასთან მიიყვანეს.

რა თქმა უნდა, იყო მოლოდინები, რომ ნიჭიერ გოგონას სახელგანთქმული მწვრთნელი ღირსეულად დაკვალიანებდა და წარმატებებს მოუტანდა, მაგრამ ის, რაც იმ დღიდან დაიწყო და დღემდე გრძელდება, იმედია, კიდევ დიდხანს გაგრძელდება, მისი წარმოსახვა მაშინ მხოლოდ ფანტაზიად თუ აღიქმებოდა.

იყო ძალიან ბევრი წლები დაუღალავი მუშაობისა, რომელსაც არ შეიძლებოდა, დადებითი მუხტი არ მოჰყოლოდა, რაც მთავარია, იყო უდიდესი პატივისცემა, რწმენა, ერთგულება, სიყვარული ოსტატსა და შეგირდს შორის, რომელმაც ორივე მხარეს უამრავი წარმატება მოუტანა.

უთვალავ რესპუბლიკურ თუ საერთაშორისო ტურნირებში გამარჯვებები, ევროპის თასის გოგონათა შორის 2 ჯერ დაუფლება, საქართველოს ნაკრები გუნდის შემადგენლობაში საჭადრაკო ოლიმპიადაზე ასპარეზობა, საქართველოს ქალთა ჩემპიონატის უმაღლესი ლიგა–V საპატიო ადგილის მოპოვება, საერთაშორისო ოსტატის ნორმის შესრულება.

დღეს კი დიანა ლომაია მსოფლიო ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორია 18 წლის გოგონათა შორის, რაც ჩვენი რეგიონის არცთუ ხანგრძლივ საჭადრაკო ისტორიაში ისტორიული და ფენომენალური შედეგია.

არ შეიძლება, მადლობა არ ვთქვათ ყველა იმ ადამიანის მიმართ, რომლებიც წლების მანძილზე დიანას გვერდში იდგნენ და ყველაფერს აკეთებდნენ სანუკვარი მიზნის მისაღწევად. განსაკუთრებული მადლობა დათო კოდუას, გოჩა ჩაჩუას, ზურაბ სტურუას, ხვიჩა სუპატაშვილს, მაგრამ თავი და თავი ამ ყველაფრისა ხომ ის დღე იყო, როდესაც 5 წლის დიანა ჭადრაკს ეზიარა...

ასე იწყებოდა ყველაფერი...

ჯულიეტა ლატარია.

საარჩევნო რეფორმის გათვალისწინებით

სასწავლო პროექტი, რომელსაც ცესკო და სწავლების ცენტრი ატარებს, მასშტაბურია. სამოცდაოთხივე მუნიციპალიტეტში სწავლების ცენტრის მიერ გადამზადებული ტრენერები საარჩევნო ადმინისტრატორის კურსებს ერთდროულად ახორციელებენ.

ეს პროგრამა პროფილურია და მიზნად ისახავს დაინტერესებული პირების გადამზადებას საუბნო საარჩევნო კომისიის პოტენციურ წევრებად.

ამ პროგრამით დეტალურად ეცნობიან საუბნო საარჩევნო კომისიის საქმიანობის პრაქტიკულ ასპექტებს. ბუნებრივია, საარჩევნო რეფორმის გათვალისწინებით ძირითადი აქცენტები კეთდება ტექნოლოგიურ სიახლეებზე. ამასთან კურსი ხელს უწყობს სამოქალაქო ცნობიერების ამაღლებას და საარჩევნო კულტურის განმტკიცებას.

ტრენინგების ჩატარებას სწავლების ცენტრის მიერ გადამზადებული ტრენერები სოფიო პერტია და ინგა ხვიჩია უზრუნველყოფენ.

ელექტრონული ტექნოლოგიების უპირატესობები ვიხილეთ 29 აპრილის ტექნოლოგიების გამოყენებით ჩატარებულ შუალედურ არჩევნებში.

გია ჩაბალუხა: „წარმატება შრომით მოიპოვება!“

ბატონო გია, მოგესალმებით!

ჩვენი გაზეთის მკითხველმა უკვე იცის, რომ თქვენ მრავალმხრივი გამოცდილების პროფესიონალი არქიტექტორი ბრძანდებით, ამჟამადაც დიდ საქმეს ხართ შეჭიდებული...

მუნიციპალიტეტის თითქმის ყველა სოფელში და ქალაქის ტერიტორიაზე მიმდინარეობს ინფრასტრუქტურული სამუშაოები.

გთხოვთ მოგვითხროთ, სად რა სამუშაოები მიმდინარეობს, რა არის სამომავლოდ დაგეგმილი, ითვალისწინებთ თუ არა ხალხის ინტერესებს და მოთხოვნებს?

მოკლედ, როგორ ფიქრობთ, როგორი იქნება ჩვენი მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურა საახალწლოდ? როგორია თქვენი მოლოდინი?

–მოგესალმებით, მადლობას გიხდით ჩემი პიროვნებითა და საქმიანობით დაინტერესებისთვის. ინფრასტრუქტურის, ურბანული განვითარებისა და არქიტექტურის სამსახურის ხელმძღვანელობა უდიდეს პასუხისმგებლობას და პროფესიონალიზმს მოითხოვს.

ყველა ინფრასტრუქტურული პროექტი, რაც კი ხორციელდება და დაგეგმილია, მორგებულია მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ინტერესებს, ემსახურება მათი პრობლემების დროულ და ეფექტურ მოგვარებას.

საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდისა და ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსებით მიმდინარე წელს ჩატარდა:

პირველი მაისის ადმინისტრაციულ ერთეულში საგაბისონიოს უბანში სასოფლო გზის და საპერტიოს უბანში სასოფლო გზის რეაბილიტაციის სამუშაოები.

ხეთის ადმინისტრაციულ ერთეულის სოფელ ნოჩხონში გზის (ასფალტო-ბეტონი) მოწყობის სამუშაოები;

მიმდინარეობს ხობის მუნიციპალიტეტის ხამისკურის ადმინისტრაციულ ერთეულში სოფელ საქირიოში გზის (ცემენტო-ბეტონი) მოწყობის სამუშაოები;

სოფელ ნოჯიხევში შიდა სასოფლო გზის (ცემენტო-ბეტონი) მოწყობის სამუშაოები;

პატარა ფოთისა და ჭალადიდის დამაკავშირებელი გზის (ცემენტო-ბეტონი) მოწყობის სამუშაოები;

მიმდინარეობს სოფელ კუთხე ნოჯიხევში შიდა სასოფლო გზის (ასფალტო-ბეტონი) მოწყობის სამუშაოები.

მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტით განხორციელდა:

ადგილობრივი თვითმმართველობის ადმინისტრაციული შენობის, ყოფილი „რაპო”-ს შენობის დაზიანებული ფასადის სარემონტო სამუშაოები;

ხეთის ადმინისტრაციული ერთეულის კორცხოს უბანში დამეწყრილ შიდა სასოფლო გზაზე გადაუდებელი პრევენციული ღონისძიებების განხორციელების სამუშაოები;

ხეთის ადმინისტრაციული ერთეულის საქირიოს უბანში გზის რებილიტაციის სამუშაოები (გარდამავალი პროექტი);

ხეთის ადმინისტრაციული ერთეულის საქირიოს უბანში (დამატებითი მონაკვეთი) გზის რეაბილიტაციის სამუშაოები;

ახალი ხიბულის ადმინისტრაციულ ერთეულში სასოფლო გზების ჩიხების რეაბილიტაციის სამუშაოები;

შუა ხორგის ადმინისტრაციულ ერთეულში მინი სპორტული მოედნის მოწყობა;

პირველი მაისის ადმინისტრაციულ ერთეულის სოფელ საკვიკვინიოში, მდინარე მუნჩიაზე, დაზიანებული საცალფეხო ხიდის რეაბილიტაციის სამუშაოები;

ნოჯიხევის ადმინისტრაციულ ერთეულში (მონასტრის უბანი) სასოფლო გზის რეაბილიტაცია;

საჯიჯაოს ადმინისტრაციულ ერთეულში (ზუბის უბანი, ე. ნანეიშვილის ეზოს მიმდებარედ) სანიაღვრე არხის რეაბილიტაციის სამუშაოები;

ქ.ხობში ხელოვნურსაფარიანი სტადიონის მოწყობის სამუშაოები (გარდამავალი პროექტი).

სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში ხობის მუნიციპალიტეტისთვის გამოყოფილია 784 000 ლარი, მუნიციპალიტეტის ყველა სოფელში განხორციელდება მოსახლეობის მიერ მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად შერჩეული პროექტი.

სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელებისთვის საქართველოს მთავრობის 2023 წლის 20 იანვრის №116 განკარგულებით ხობის მუნიციპალიტეტისთვის გამოყოფილია 725 000 ლარი, რომლითაც დაფინანსდა 18 ინფრასტრუქტურული პროექტი.

მუნიციპალიტეტის განვითარებაზე ზრუნვა ყველა ჩვენთაგანის ვალია. დაუღალავად ვშრომობთ, რათა ჩვენი კოპწია ხობი კიდევ უფრო მოწესრიგდეს, შეიქმნას სასიამოვნო გარემო ყველა მოქალაქისა და განსაკუთრებით ახალგაზრდებისთვის.

მაქვს მოლოდინი, რომ ჩვენს მიერ განხორციელებული ღონისძიებების შედეგად, მოსახლეობაში კიდევ უფრო ამაღლდება კმაყოფილების დონე, ჩემს დაპირებას ზურგს უმაგრებს სწორი სტრატეგია და რეალისტური ხედვა, რომლის განხორციელებასაც პროფესიონალიზმი, ეფექტიანი მუშაობა. და რაც მთავარია, საქმის კეთების სურვილი სჭირდება, რასაც ჩვენი გუნდი საქმით ვადასტურებთ.

ბატონო გია, არავინ არ არის დაზღვეული სტიქიური უბედურებისგან და, რასაკვირველია, არც ხობი იყო გამონაკლისი... რა და როგორი დახმარება გაეწიათ დაზარალებულ ოჯახებს?

–დიახ, საკმაოდ დიდი ზარალი მიადგა მოსახლეობას 10-15 იანვრის ძლიერი ქარის შედეგად, ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სტიქიისგან მიყენებული ზარალის შემსწავლელი კომისიის მიერ მყისიერად მოხდა არსებული სიტუაციის ადგილზე შესწავლა, ზარალის ოდენობის შეფასება, აღრიცხვა. 480 ოჯახს გაეწია ფინანსური დახმარება, სტიქიისგან მიყენებული ზარალის საკომპენსაციოდ.

არ შემიძლია ისე დაგემშვიდობოთ, არ მოგილოცოთ შვილის წარმატებები. გიორგის არჩევანი თქვენი გადაწყვეტილება იყო თუ თქვენი რჩევის გათვალისწინება?

–გიორგი, ადრეული ასაკიდან საკმაოდ დამოუკიდებელი ბავშვი იყო. ვფიქრობ, დიდი როლი ითამაშა მის არჩევანში ჩემმა პროფესიამ, მაგრამ გადაწყვეტილება, რომ ამ პროფესიას დაუფლებოდა, სრულიად დამოუკიდებლად მიიღო. გზა, რომელიც აირჩია, ვფიქრობ, სწორია. ამჟამად იგი წარმატებულად ამთავრებს ვენეციის არქიტექტურის ინსტიტუტის სამაგისტრო პროგრამას, დანარჩენი კი მომავალს მივანდოთ. ჩანაფიქრების ასრულებას ვუსურვებ მას.

ზოგადად რა არის წარმატების საიდუმლო?

–საიდუმლო არა აქვს წარმატებას, შრომით მოიპოვება იგი.

და ბოლოს, რას უსურვებდით მუნიციპალიტეტის მოსახლეობას?

–ბედნიერებას, წარმატებას და მშვიდობიან გარემოში ცხოვრებას ვუსურვებ თითოეულს.

მადლობა უპრობლემო თანამშრომლობისთვის. გჯეროდეთ, ეს ხელს შეუწყობს მოსახლეობასთან კომუნიკაციას, ხელისუფლებისადმი ნდობის ფაქტორის ამაღლებას...

წარმატებებს გისურვებთ.

ესაუბრა
მერი ლაგვილავა

ხეთის გზის რეაბილიტაცია

ნოჯიხევის შიდა სასოფლო გზის რეაბილიტაცია

ხეთა-ნოჩხონის გზის რეაბილიტაცია

ხეთა-კორცხოს უბანში დამეწყრილი გზის რეაბილიტაცია

სოფელი

ერთად ვიზრუნოთ მოვავლისთვის

მარინა ლაგვილავა, ხობის მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენელი პირველი მაისის ადმინისტრაციულ ერთეულში

ქალბატონო მარინა, „ხობის მოამბე“ დიდი ხანია არ შეგხმიანებიათ, თქვენ პირველმაისელთათვის, მათი სიკეთისთვის იღწვით, ბევრი რამ თქვენი მებრძოლი სულისკვეთებით კეთდება სოფელში. რას გვეტყვით გასულ წელზე?

–როგორც იტყვიან, ის წელი გადავიტანეთ. ბევრი რამ გაკეთდა. სოფლის მოსახლეობის საკეთილდღეოდ, ბევრი ვერა, რაზედაც ყველამ კარგად იცის და გაზეთშიც გავახმიანეთ...

გვიამბეთ, როგორ დაიწყო 2023 წელი. რა გაკეთდა და გაკეთდება სამომავლოდ, რა სიახლეებით გაახარებთ მოსახლეობას, რას გვეტყვით სოფლის სასმელი წყლით უზრუნველყოფის საქმეზე?

–2023 წელი ვფიქრობ, ფეხბედნიერი გამოდგება ჩემი სოფლისთვის. გარემონტდა და ასფალტის საფარი დაიგო კონსტანტინე და ზვიად გამსახურდიების ქუჩებზე, ყველა ოჯახის შესასვლელი იქნა რეაბილიტირებული, რამაც მოსახლეობა დიდად გაახარა.

ყველა თანასოფლელისთვის ცნობილია, თუ როგორ შეიქმნა 2016 წელს სოფლის მაგისტრალური წყალსადენის პროექტი, რომელიც დღემდე ვერ განხორციელდა და ვართ მოლოდნის რეჟიმში. მოვიდა ზაფხული და როგორც ყოველთვის, წელსაც თავს იჩენს ჭების დაშრობა, წყლის დეფიციტი კი აუტანელი ხდება მოსახლეობისთვის, მაგრამ ღვთისა და ხობის მუნიციპალიტეტის მერის ბატონი დავით ბუკიას დიდი იმედი გვაქვს. მერია ყველაფერს აკეთებს, როგორმე მოაგვაროს ეს სასიკეთო საქმე მიმდინარე წელს, ჩვენ კი წყლის მაგისტრალის მშენებლობის დაწყებას დიდი იმედით დაველოდებით. თუ წყალი გვექნება, სოფლისთვის ეს წელი მართლაც, რომ ფეხბედნიერი იქნება.

სოფელში სტიქიური წვიმების შედეგად გაფუჭდა 4 ხიდი და 1 ხიდბოგირი, სამი ხიდი და ერთი ხიდბოგირი უკვე აღდგენილია. ასევე მდინარე მუნჩიაზე აღდგენილიქნა ბონდის ხიდი. მინდა, დიდი მადლობა გადავუხადო იმ ადამიანებს, რომლებმაც შეძლეს უმოკლეს დროში ჩაეტარებინათ სარემონტო სამუშაოები და აღედგინათ ბონდის ხიდი.

გარდა ამისა, სტრიქიით დაზარებულ ოჯახებს გაეწიათ დახმარება, რისთვისაც ვემადლიერებით მუნიციპალიტეტის მერიას.

რას გვეტყვით „სოფლის მხარდაჭერის პროგრამაზე“, რა გადაწყვიტა თქვენთან ერთად მოსახლეობამ?

–მიმდინარე წლის „სოფლის მხარდაჭერის პროგრამით“ გათვალისწინებულია კონსტანტინე და ზვიად გამსახურდიების, ბესიკის და ლევან გოთუას ქუჩებზე გაკეთდეს გარე განათება, რაც კიდევ ერთი წინგადადგმული ნაბიჯია სოფლის საკეთილდღეოდ.

გაზაფხულისა და შემოდგომის წყალდიდობები დიდი ხანია აწუხებთ მოსახლეობას, რის გამოც ქუჩები გაუვალი ხდება. რას გვეტყვით ამაზე? ეშველება ღელეებს და ქუჩებს?..

–მიმდინარეობს გ. ბუკიას ქუჩის პროექტზე მუშაობა. მალე დაიწყება აღნიშნული ქუჩის კეთილმოწყობა და ღელეებსაც, თავისთავად ეშველება.

ასევე იგეგმება მ. ნაჭყებიას ქუჩის და ჯახუთის უბანში ც. დადიანის და გ. ტაბიძის ქუჩების პროექტირება, რომლებიც სოფლის კეთილდღეობის ზრუნვისთვის გადადგმული კიდევ ერთი ნაბიჯია.

2019 წელს მოხდა „აია სოფიას“ ტაძრამდე მისასვლელი გზის პროექტირება, მაგრამ... ვერ მოხერხდა საქმის ბოლომდე მიყვანა, ვიმედოვნებთ, ისიც მალე განხორციელდება მუნიციპალიტეტის ხელმძღვა-ნელთა მხარდაჭერითა და დახმარებით.

ქალბატონო მარინა, არის კიდევ სხვა ქუჩების კეთილმოწყობის იდეა?

–გზების მოვლა-შენახვის ფარგლებში, მოხდება კიდევ რამდენიმე ქუჩის რეაბილიტაცია. იმედია, ყველა ძირითადი ქუჩა თანდათან მოწესრიგდება.

კიდევ რა სიახლეებს უნდა ელოდონ პირველმაისელები?

საქართველოს პრემიერ-მინისტრი და განათლების სამინისტრო ერთ-ერთ ძირითად იდეად მიიჩნევს სკოლებისა და ბაგა-ბაღების მშენებლობას და კეთილმოწყობას. თქვენი სოფელი თუ გახდება ამ იდეის ნაწილი? ეს, ალბათ, თქვენი და მოსახლეობის დიდი სურვილია?

–პირველი მაისის სკოლა ერთ-ერთი ძლიერი გახლდათ ხობის განათლების დარგის ისტორიაში. სკოლას ყავდა უძლიერესი პედაგოგები. ბრწყინვალე, განათლებული ახალგაზრდები, რომლებიც დღეს სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებლებში იღწვიან და სამეცნიერო მუშაობას ეწევიან. ბევრი მათგანი საუკეთესო სამსახურებში მოღვაწეობდნენ... ასეა ამჯერადაც. წლებია სკოლა მისახედია, რათა თანამედროვე სტანდარტებს დაექვემდებაროს. ძალიან სასურველია, სამომავლოდ ახალი სასწავლო წელი ახალი სკოლის შენობაში თუ დაიწყება. იმედია, ამ საშვილიშვილო საქმეში შესაძლებლობის ფარგლებში მუნიციპალიტეტის მერია დაგვეხმარება.

სოფლის ბაგა-ბაღის შენობა, თანამედროვე პირობებს ვერ აკმაყოფილებს, საჭიროა, ჩაუტარდეს სრული რემონტი. თუ მის რეაბილიტაციაში დაგვეხმარებიან, სასურველი იქნება.

რას ეტყვით თანასოფლელებს?

–სურვილი მაქვს ჩემი სოფლის მოსახლეობას ყველა პირობა ჰქონდეს ნორმალური ცხოვრებისთვის.

ვისურვებდი სოფლიდან არ იყოს მოსახლეობის გადინება საზღვარგარეთ. ვიყოთ ერთად, გვიყვარდეს და პატივს ვცემდეთ ერთმანეთს. სიყვარულს ვერაფერი დაუდგება წინ!

იყავით ჯანმრთელად, იცხოვრეთ ლამაზი ცხოვრებით. ერთად ვიზრუნოთ ხვალინდელი დღისთვის და მომავლისთვის.

საუბარი ჩაიწერა ნანი კილასონიამ.

ჩვენს მუნიციპალიტეტში

ხობის მუნიციპალიტეტის საჯიჯაოს ადმინისტრაციულ ერთეულში ნაპირდამცავი გაბიონის მოწყობა მიმდინარეობს.

პროექტის სახელშეკრულებო ღირებულება 135 000 ლარს შეადგენს.

სარეაბილიტაციო მონაკვეთზე წყალდიდობის დროს ირეცხებოდა სანაპირო ზოლი და იტბორებოდა საკარმიდამო ნაკვეთები.

ინფრასტრუქტურულ პროექტს ხობის მუნიციპალიტეტის მერია მთავრობის მიერ მუნიციპალიტეტისთვის სტიქიის შედეგად დაზიანებული ინფრასტრუქტურის აღდგენისთვის გამოყოფილი თანხით ახორციელებს.

ხობის მუნიციპალიტეტში შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ხობი-საჯიჯაო-ლესიჭინეს საავტომობილო გზის 5-კილომეტრიანი მონაკვეთის (ნოჯიხევი - ქ. ხობი) სრული რეაბილიტაცია მიმდინარეობს.

სარეაბილიტაციო გზაზე იგება ასფალტის საფარი, მოეწყობა ნაპირდამცავი გაბიონი, რკინა-ბეტონის კიუვეტები, ავტოპავილიონი, არხები, ავტობუსის გასაჩერებელი მოედანი, განთავსდება საგზაო ნიშნები.

გზის რეაბილიტაციის პროცესს ხობის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე რევაზ ზაქარაია და მერიის ინფრასტრუქტურის, ურბანული განვითარებისა და არქიტექტურის სამსახურის უფროსი გია ჩაბალუხა გაეცნენ.

პროექტის სახელშეკრულებო ღირებულება 3 მილიონ 582 ათას ლარს შეადგენს.

ინფრასტრუქტურულ პროექტს საავტომობილო გზების დეპარტამენტი ახორციელებს.

ხობის მუნიციპალიტეტის ხამისკურის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ საკუკავოში და ზემო საფარცვანიოს უბანში ნაპირდამცავი გაბიონების მოწყობა მიმდინარეობს.

ინფრასტრუქტურულ პროექტებს ხობის მუნიციპალიტეტის მერია მთავრობის მიერ მუნიციპალიტეტისთვის სტიქიის შედეგად დაზიანებული ინფრასტრუქტურის აღდგენისთვის გამოყოფილი თანხით ახორციელებს.

მიმდინარე წელს ხობის მუნიციპალიტეტში სტიქიის (წყალდიდობა) შედეგად დაზიანებული 15 ობიექტის რეაბილიტაცია განხორციელდება.

1 ივნისი–ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღე!

ზაფხულის პირველი დღე უჩვეულოდ სასიამოვნოდ დარჩება ხობელთა (და არა მარტო) მეხსიერებაში. ..

ხობის ცენტრალური პარკი დილიდანვე საზეიმოდ მოირთო და ბავშვთა ჟრიამულმა მოიცვა... ცენტრალური პარკი მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების (ხობის №1 და №2, ჭალადიდის, ხეთის, ქვემო ქვალონის, საჯიჯაოს (წამყვანი სპეციალისტები ნონა ალანია, ნარგიზა ტუღუში, მანანა სესქურია, თამუნა ჩუხუა, ნინო საჯაია, შორენა თირქია) აღსაზრდელებმა და თანამშრომელმა „ანიმატორებმა“ შეავსეს.

ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღის აღსანიშნავად ხორციელდებოდა პროექტი სახელწოდებით–„სკოლამდელების მოგზაურობა ცირკის სამყაროში“.

ულამაზეს ხეთა მჭკრივში მუსიკის ჰანგები, „ასფალტზე მხატვრები“, „მოჭადრაკეები“, „მონარდეები“ „მოშაშეები“ თუ მკლავჭიდელები ახალისებდნენ იქაურობას.

უკეთესის ამორჩევა მაღალპროფესიონალებსაც გაუჭირდებოდათ ალბათ... ჩემი ფავორიტის დასახელებასაც ვერ ვბედავ, რადგან ჩემი სოფლის ბაღის პრიორიტეტი მიკერძოებაში არ ჩამომერთვას....

ღრუბელმა გადაიკარა, კაშკაშა მზემ კიდევ უფრო გააცისკროვნა იქაურობა. „მოსეირნე“ დამთვალიერებელთა შორის იყვნენ მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელები, მშობლები, ახლობლები, სკოლის კურსდამთავრებულები... მოზეიმეებს და მაყურებლებს ერთნაირად უბრწყინავდათ თვალები...

მომეჩვენა, რომ ისინი თავიანთ ბავშვობას ეფერებოდნენ...

„ენკი ბენკი სიკლისა, ენკი ბენკი და, წლები სიყმაწვილისა, გა- ვი- და“_ ვაშველებდი ცალ ფეხზე მოხტუნავე პატარებს...

უხაროდა დიდ პატარას... გამორჩეულად ლამაზ, სიცოცხლის მომაწყურებელ გარემოს ყველა და ყველაფერი აბრწყინებდა... ასეთი ლამაზი დღეები არ მოშლოდეთ პატარებს...

დღე დიდებული და ემოციებით სავსე...

ბრავო, მოლოდინი გამართლდა!!!!

ხობის კულტურის სახლს კი ამშვენებდა კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოებრივი ცენტრის ბავშვთა თეატრის პრემიერის აფიშა „აქ ჩემი სახლია“ (ნოდარ დუმბაძის მოთხრობების მიხედვით).

ინსცენირება, დადგმა და მუსიკალური გაფორმება ეკუთვნოდა ქალბატონ მარინა ჯღარკავას.

მხატვარი ემილ გეგენავა, ტექნიკური რეჟისორი ნინო ქარჩავა, ელ. ინჟინერი და სცენის ტექნიკური უზრუნველყოფა–ვახტანგ ხვიჩია, ფრიდონ ტყებუჩავა, გიგა გაბისონია, ხმის ოპერატორი თინათინ ჯიქია, მონტაჟი–ბესო გაბრავა, კოსტიუმებზე მუშაობდა თინა დგებუაძე.

ის, რომ პრემიერის რეჟისორი ქ-ნი მარინა ჯღარკავა გახლდათ, ეს კიდევ მეტ დაინტერესებას მატებდა სპექტაკლზე დასწრების მსურველებს... რადგან უკვე ადრე შემდგარი პრემიერებიდანაც ნათელი იყო, რასაც მისი გონება და ხელი შეეხება, ის მუდამ განსაკუთრებული და ნიშანდობლივია საბავშვო თეატრის ისტორიაში...

მოლოდინი გამართლდა... მინდა მაყურებელთა სახელით ქ-ნ მარინა ჯღარკავას უდიდესი მადლობა ვუთხრა ნოდარ დუმბაძის შედევრებთან შეხებით, რომ შეარჩია პრემიერის თემა და ერთხელ კიდევ მიგვაახლოვა სანუკვარ ოცნებას–აფხაზეთს...

მთელი „დასი“, სხვადასხვა ასაკის ბავშვები, დიდი მოწიწებით, სიყვარულით ესათუთებოდნენ თითოეულ ფრაზას, ცდილობდნენ მაყურებლამდე გულში ჩამწვდომად მიეტანათ მწერლის და, რაც მთავარია, რეჟისორის ჩანაფიქრი...

პრემიერა 17 სურათიანი გახლდათ და მთხრობელი გვიყვებოდა გურიასა და სოხუმში მცხოვრები ბოშების ცხოვრებასა თუ იანგულის, „ქუჩის ბიჭების“ ყოველდღიურ ყოფაზე.

1943 წელს სოფელ ზენობანში ჩაჩნები და ციგნები დაბანაკდნენ....

„–აგრაფინასთან რომ ციგნის ქალი გყავდა, მეც იგი მომიყვანე ნენა, კარგი ამბები უწინასწარმეტყველებია და მე ვიცი შენი პატივისცემა...“

ბოშები–ხმაურიანი, მოცეკვავე, მომღერალი, ქურბაცაცა და შავტუხა ბოშები, ზოგი ორსული, ზოგი გასათხოვარი და მაინც ერთიანად მზეთუნახავი და ეშხიანი ბოშა ქალი...

...ყველა დაქცეულ ოჯახს თუ არა, ნახევარს მაინც გაუცოცხლეს დაღუპული შვილები, ქმრები, მამები და ნათესავები ბოშებმა–ჭადის ნატეხად, სამ კვერცხად, ერთ ბოთლ ღვინოდ, ხანაც სულ უფასოდ...“

...და სცენაზე გაცოცხლდა ბოშათა მომთაბარე ცხოვრება, მათი სიკეთით სავსე ყოველდღიურობით...

იდგა სცენაზე მთხრობელი (როლის უბადლოდ შემსრულებელი დემეტრე ჩუხუა, ბებიაელენე ლაგვილავა, მარჩიელი ოქსანა (ლიზი გვასალია), დეიდა ნინა (კესო კობახიძე), ქერქაძის ქალი (ტატა ბუკია) და საოცარი ოსტატობით ტკივილიანი ხმით ევედრებოდა ოქსანას „იმ შვილს გაფიცებ ნენა, რომელსაც ელოდები, სიმართლე მითხარი...“

სიკეთის, ურთიერთდანდობის, სტუმართმოყვარეობის ერთგვარი გამოვლინება გახლდათ სოფლის ცენტრში შეკრებილი გურულების საუბარი პოლიციელთან (ირაკლი ჯობავა).

„ბოშებს არაფერი მოუპარავთ, გავუცვალეთ ზოგი სამფეხში, ზოგი ჯაჭვში...“

„ვანოია მალე ჩამოგივაო მითხრა და ქათამს დევიშურებდი შე კაცო?“

„–მაგი ხბო ჩემი იყო და ვაერთობა, მათი გამუდმებული კინკლაობა, ჩხუბი, გინებაში შეჯიბრება და იანგულის ნაძალადევად გამგზავრება ელადაში, გულის ამაჩუყებელი გამოდგა.

„–არ მინდა წასვლა, მე დედა არ მახსოვს, ვენეციის გზატკეცილზე გავიზარდე, ქუჩაში. ჩემი ელადა, ჩემი სამშობლო სოხუმია, ვენეციის გზატკეცილი, ჩალბაში, კოკა, პეტია, კურლიკა, ფემა, შავი ზღვა, ჩემი ვირი, რკინიგზის ხიდი, მიდა... მიდა და შენც... HELADOS ეს ამოსვირინგებული სიტყვაა, ჯემალო, სამშობლო უფრო ღრმადაა, შიგნით....

და, როცა უკვე მამის გადაწყვეტილება ძალაში იყო, იანგული თავის ვირს, სახელად აპოლონს, ჯემალოს უტოვებს, თხოვს მოეფეროს და სახლიდან

ჩუქე ჩაჩნების უფროსს, მის ქალიშვილს ბაღანე გაუჩნდა ჩვენს სოფელში და ზენობანიდან წასული გრიშაიე ძნელაძის სახელი დაარქვა.... ჰოდა, ვაჩუქე!“

სამი სურათი ისევე საინტერესოდ დამთავრდა, როგორც დანარჩენი, ბავშვების სიმრავლის მიუხედავად, მაინც სმენადობა იყო, დარბაზში სიჩუმე ბატონობდა.....

* * *

სოხუმელი ბერძენის, დედით ობოლი, ვენეციის გზატკეცილის უბნის ყოჩის იანგულის (ტატო გვასალია) ცხოვრებამ და ჯემალოს (მოთხრობის ავტორის) მონათხრობმა, ჩემი ჩათვლით, დარბაზი დაძაბა, აატირა კიდეც...

ჯემალოს და იანგულის ურთიერთობა, მათი გამუდმებული კინკლაობა, ჩხუბი, გინებაში შეჯიბრება და იანგულის ნაძალადევად გამგზავრება ელადაში, გულის ამაჩუყებელი გამოდგა.

„–არ მინდა წასვლა, მე დედა არ მახსოვს, ვენეციის გზატკეცილზე გავიზარდე, ქუჩაში. ჩემი ელადა, ჩემი სამშობლო სოხუმია, ვენეციის გზატკეცილი, ჩალბაში, კოკა, პეტია, კურლიკა, ფემა, შავი ზღვა, ჩემი ვირი, რკინიგზის ხიდი, მიდა... მიდა და შენც... HELADOS ეს ამოსვირინგებული სიტყვაა, ჯემალო, სამშობლო უფრო ღრმადაა, შიგნით....

და, როცა უკვე მამის გადაწყვეტილება ძალაში იყო, იანგული თავის ვირს, სახელად აპოლონს, ჯემალოს უტოვებს, თხოვს მოეფეროს და სახლიდან არ გააგდოს.

...მდინარე კელასურის შესართავთან ზღვამ ახალგაზრდა ბიჭის სხეული გამორიყა, ბიჭს სახე წაშლილი ჰქონდა და ჯემალომ იგი ლურჯად ამოსვირინგებული „HELADOS“-ით ამოიცნო...

_დეიდა ნინა! იანგული დაბრუნდა!

და დარბაზი ფეხზე დგას, ქუხს...

იყო ცრემლი, სიყვარული, ტკივილი და რწმენა იმისა, რომ დაბრუნდება აფხაზეთი, ვენეციის გზატკეცილზე კვლავ ივლიან პეტია, კურლიკა, კოკა, ჩალბაში, ფემა და ჯემალო...

მაყურებელი დიდხანს არ დაშლილა. ყვავილების ზღვა იდგა მადლობის ნიშნად, რომელიც პრემიერის რეჟისორს, სულით ხორცამდე ულამაზეს ქალბატონს მარინა ჯღარკავას, სპექტაკლის თითოეულ მონაწილეს ეკუთვნოდა...

სპექტაკლის მონაწილეები დემეტრე ჩუხუა (მთხრობელი), ტატო გვასალია, ნინა ლოლუა, კესო კობახიძე, ირაკლი ჯობავა, ნიკოლოზ ხარამიშვილი, ტატა ბუკია, ელენა კინწურაშვილი, ნინო ქავთარაძე, დავით შონია, ლიზი გვასალია, ელენე ლაგვილავა, დაჩი კახიანი, ლიზი ბუკია, ლია ჯიქია, ნიკოლოზ გერგაია, ქრისტინა გაბისონია, ბარბარე საჯაია, თეკლა დავითულიანი, დავით გელაშვილი, მაგდა გერგაია, კოკა თუთბერიძე, ნინო ჯორჯიკია, ნატა ჭითანავა, ლევან კუჭავა სიყვარულითა და სიამაყით ავსილები დაემშვიდობნენ მაყურებელს...

ბრავო, მოლოდინი გამართლდა!!!

ამ ფონზე ქ-ნ მარინა ჯღარკავას ვთხოვე რამდენიმე სიტყვით გამოეხატა ემოცია..

–ჩემთვის არახალია სცენაზე თამაში, მაგრამ ესენი ხომ ბავშვები არიან. უმრავლესობა პირველად იდგა სცენაზე და უჭირდათ ჯერაც შეუცნობელ განცდებთან და ემოციებთან გამკლავება.

ჩვენ ბევრი ვიშრომეთ თითეული სიტყვის, ჟესტის, მანერების, ურთიერთობების დახვეწაზე. ნაბიჯ-ნაბიჯ, ბგერა-ბგერა, მარცვალ-მარცვალ ვასხამდით იმ საოცარ ჯადოსნურ ჯაჭვს, რომელსაც მსახიობისა და მაყურებლის ურთიერთობა ჰქვია. ძალიან დიდი პროფესიონალიზმია საჭირო იმისთვის, რომ შეძლო შენი სათქმელის მაყურებლამდე სწორად მიტანა... ბედნიერი და ამაყი ვარ, რომ ეს ჩემმა დასმა ღირსეულად შეძლო. მადლობა თითოეულ მათგანს. –გვითხრა მან.

* * *

...მზე შუბისტარზე გადაიწვერა, აქა-იქ სხვა დროს შეუმჩნეველმა ღრუბელმაც იჩინა თავი, ნიშნად აფხაზეთის დაბრუნების ოცნებადქცეული სურვილისა...

ასე დამთავრდა პირველი ივნისი–დიდებული და ემოციებით სავსე...

მერი ლაგვილავა

ინტერვიუ

ჩემი სამყარო სკოლაა...

ქალბატონო თამარ, მინდა მკითხველს გაეცნოთ, ვინ არის თამარ პერტია.

–მოგესალმებით. მე ვარ თამარ პერტია. ისტორიკოსი. დამთავრებული მაქვს სოხუმის

სახელმწიფო უნივერსიტეტი.

რამდენი წელია მასწავლებლად მოღვაწეობთ და სად?

–25 წელია, რაც ვმოღვაწეობ საგანმანათლებლო სფეროში.

როგორ გესახებათ ახალგაზრდა თაობის ხვალინდელი დღე? მათ ხომ უნდა აშენონ მომავალი თავიანთი შრომით, სწავლით, ძიებით?..

–საინტერესო და განსხვავებულად კარგი თაობაა. მუდმივად ახალი იდეებით, მებრძოლი, მრავალფეროვანი. მათი ინტელექტუალური მაჩვენებელი მაღალია. ახალი მიდგომების,შესაძლებლობების განხორციელებას ადვილად ახერხებენ. აქვთ მზაობა გამოწვევების მისაღებად, გაბედული ნაბიჯების გადასადგმელად. მთავარია, გააჩნდეთ პიროვნული ღირსების გააზრების და დაფასების უნარი, სოლიდარობის განცდა.

როგორები არინ თქვენი მოსწავლეები. ფიქრობთ, რომ გყავთ ინტერესიანი, მებრძოლი სულის მოსწავლეები, რომლებიც შეძლებენ მომავალს ფეხი აუწყონ და თავიანთი ადგილი იპოვონ საზოგადოებაში?

–ჩემი მოსწავლეები თავიანთი უნიკალურობით მუდმივად მაოცებენ. ახალგაზრდა თაობა არის ის მთავარი, რაზეც ჩვენ უნდა გავაკეთოთ აქცენტი. ქვეყნის აღმშენებლობის პროცესში სწორედ მათი როლია უპირატესი. ვთვლი, ჩვენი მხრიდან მათ უნდა ქონდეთ ხელშეწყობა, რომ ჩამოყალიბდნენ პატრიოტ, სახელმწიფოებრივად მოაზროვნე მოქალაქეებად.

ვიცი, კარგი ავტორიტეტით სარგებლობთ საგანმანათლებლო სფეროში, იქ, სადაც მუშაობთ და საერთოდ, თქვენზე ყველაფერი კარგი მესმის, როგორ მოხვდით თორისა და ხამისქურის საჯარო სკოლაში.

გვიამბეთ რა არის თქვენი წარმატების გასაღები?

–მადლობა ლამაზი სიტყვებისთვის. მოვდივარ ამ ცხოვრების ბილიკებზე. არის რთული და მარტივი დღეებიც, გამოცდილებას ცხოვრება გვძენს. მიყვარს გულწრფელობა. ჩემი სამყარო სკოლაა. მის გარეშე წარმოუდგენელია დილა. იქ სინუფთავეა, სიხალისეა. ნამდვილი და ცოცხალი გარემოა. ყოველი გაკვეთილი სხვადასხვაა, ახალია და ამოუცნობი. მოციმციმე თვალები, ბავშვური სილაღე სხვა სამყაროში გამოგზაურებს. ხამისქურისა და თორსის საჯარო სკოლებში მიწევს პროფესიონალ გუნდთან და არაჩვეულებრივ სასკოლო ადმინისტრაციასთან ერთად ყოფნა. შეთანხმებული მუშაობა ბევრ საქმეში გვეხმარება.

სკოლა და მოსწავლეები თქვენი უპირველესი გატაცება და სიხარულია, ასე ყველას არ ძალუძს გამოხატოს სითბო და სიყვარული, თქვენც ინტერესდებით, რომ თქვენი მოსწავლეები წარმატებული იყვნენ და იცოდნენ ქვეყნის ისტორია, ქართული ლიტერატურა, გრამატიკა... როგორ ახერხებთ ამას, აღწევთ მიზანს?..

–გაკვეთილი სიყვარულით უნდა იწყებოდეს, კეთილგანწყობილი დამოკიდებულება ყველა წარმატების საწინდარია. თბილი, მეგობრული გარემო, საინტერესო აქტივობები მიზნამდე მიგვიყვანს. თუნდაც მოსწავლეს ღიმილით შეეგებო.. სწავლა-სწავლების პროცესში მოსწავლემ უნდა იცოდეს, სასკოლო აქტივობებში ჩართვა რა პიროვნულ და სოციალურ სარგებელს მოუტანს. მასწავლებელი მუდამ მზად უნდა იყოს მოსწავლის მოტივაციის ასამაღლებლად. გააზრებული უნდა ჰქონდეთ, რომ მრავალსაუკუნოვანი ერის შვილები არიან. სამშობლოს ისტორიის სწავლებისას სამი ღვთაებრივი საუნჯე: მამული, ენა, სარწმუნოება გზამკვლევი უნდა იყოს. მოსწავლეს გააზრებული უნდა ჰქონდეს ჩვენი ქვეყნის მრავალსაუკუნოვანი ისტორიის შვილობა, ისტორიის გაკვეთილი ჩვენთან არ მთავრდება ზარის დარეკვით, ის ჩვენი ყოველი ნაბიჯია წინაპართა ნაკვალევზე.

როგორ ფიქრობთ, განათლების სისტემაში არის ხელშესახები პრობლემები, მათი დაძლევა რთულია თუ... შესაძლებელი?

–არის პრობლემები. ბევრი რამ გადახედვას და დახვეწას საჭიროებს. თუმცა რთული და მიუღწეველი, რა თქმა უნდა, არაა. დიდი სურვილი მაქვს, რომ რელიგიის სწავლება შემოიღონ სკოლებში.

გვიმბეთ თქვენს რეგალიებზე–ახალგაზრდა პედაგოგს რა ტიტულატურები გაგაჩნიათ?

–მაქვს ორი პროფესია, ვარ ლიტერატურათმცოდნე და ისტორიკოსი. 2012 წლიდან სერთიფიცირებული უფროსი მასწავლებელი გახლავართ.

ქალბატონო თამარ, რა თემებზე ესაუბრეთ თქვენს მოსწავლეებს ამ ბოლო პერიოდში?

–ჩვენი საუბრები მუდამ მათი ინტერესის სფეროა. ვსაუბრობთ რელიგიაზე, სიყვარულზე, სიკეთეზე, სამშობლოზე. თემები არ გველევა თანაგანცდის უნარზე. მუდამ ვახსენებ „ურთიერთ არს სიმძიმე იტვირთეთ და ესრეთ აღასრულეთ სჯული იგი ქრისტესი“.

სკოლაში გვაქვს „მკითხველთა კლუბი„ ჩემი ორივე სკოლის პედაგოგიური კოლექტივის და მოსწავლეთა აქტიური ჩართულობით ტარდება სხვადასხვა სახის საგნობრივი ღონისძიებები.

გვესაუბრეთ თქვენს ოჯახზე, მეუღლეზე, შვილზე...

–მყავს მეუღლე კობა თათარიშვილი და ვაჟიშვილი გიორგი–თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტის მე-2კურსის სტუდენტი.

გარდა დედობისა და მასწავლებლობისა, რა არის თქვენი გატაცება?

–ბევრი საინტერესო რამ რაც ხდება ირგვლივ. კონკრეტული გატაცება არ მაქვს.

კიდევ რაზე ისაუბრებდით?..

–მინდა ბედნიერ, ერთიან საქართველოში ვიცხოვროთ. ისევ ვიხილოთ სოხუმი. დიდი ვაჟასი არ იყოს, „გიყვარდეთ კაცნო ერთმანეთი“.

მადლობა საინტერესო საუბრისთვის.

–დიდი მადლობა ინტერვიუსთვის. თქვენს გაზეთს ვუსურვებ ერთგული მკითხველის სიმრავლეს.

ესაუბრა
ნანი კილასონია.

გზავნილი „არეადან“

ზაფხულის პირველი დღე ორმაგად სასიხარულოა ბავშვებისთვის, არდადეგები იწყება და ბავშვთა დაცვის მსოფლიო დღეა. არც ერთი დღე არ მთავრდება ისე, რომ თითოეულ ბავშვზე არ გვეზრუნოს „არეაში“, მაგრამ 1 ივნისს განსაკუთრებულად შევხვდით. თოჯინები გვესაუბრებოდნენ საგანგებოდ მოწყობილი სცენიდან.

უსაზღვრო ფანტაზიით და არტისტულობით გამორჩეულ მეექვსეკლასელებს, ანდაზებით, გამოცანებით, ენის გასატეხებით ეხმიანებოდნენ პირველკლასელები.

მიულოცეს ყველა ბავშვს ეს დღე, ფერადი ცის ქვეშ გზავნილი ყველა ბავშვისთვის ერთი და იგივე იყო, რომ ერთად „მოქარგონ დღე“. „დახატონ სამყარო“, „ფიქრი და ოცნება, რომ სუფთაა ყველასი“. „უყვართ ლამაზი წუთები და წამი“.

ამ გზავნილით ივლიან „არეალელები“ და მჯერა, რომ ეს სიტყვები არასოდეს გაცვდება.

თეა ბერაია,
სკოლა „არეას“ პედაგოგი.

სამუსიკო სკოლის მაისის „შემოდგომა“

განათლება და კულტურა განუყოფელი ნაწილია ადამიანის შინაგანი კულტურის ამაღლების საქმეში, რასაც ემსახურება ხობის სამუსიკო სკოლა დაარსებიდან 60 წლის განმავლობაში.

სახელმწიფო ფასდება მოქალაქეთა განათლების, კულტურის, შრომის ტრადიციების დაცვა-განვითარებით. ამ სულისკვეთებით აღზრდილ საზოგადოებას შეუძლია იამაყოს, იაროს წინ–მომავლისკენ, რამეთუ სკოლა ბალავერია, სადაც მომავალი თაობა იღებს განათლებას, ამით ესწრაფვის იყოს საზოგადოების ნათელი სახე მისი კულტურული დონის გამოვლინებით მსოფლიოს თვალში.

30 მაისი, 2023 წელი, ვარდობისთვე. კულტურის სასახლის მცირე დარბაზი გაივსო მოწვეული სტუმრებით,

მშობლებით, გულშემატკივრებით. საზოგადოება შეიკრიბა სამუსიკო სკოლის პედაგოგების ქალბატონების ნათელა მარგველაშვილის და ხათუნა სალიას საფორტეპიანო კლასის მოსწავლეთა სამაისო–„შემოდგომის“ კონცერტის დასასწრებად.

„შემოდგომაო“ ვახსენე იმიტომ, რომ მაისი ის დროა, როდესაც მთელი წლის შედეგები იდება ანუ „ჭირნახულის“ აღების დროა.

...და დადგა კონცერტის ათვლის წამი: რა ჯობს იმის ხილვას, თუ რაოდენ ოსტატურად ასრულებენ პედაგოგების ნათელა მარგველაშვილისა და ხათუნა სალიას კლასის მოსწავლეები, კლასიკოს თუ თანამედროვე კომპოზიტორთა ნაწარმოებებს.

ესთეტიურად, დახვეწილად, ლამაზად ჩაცმული მოსწავლეები დიდი რუდუნებით ასრულებდნენ საფორტეპიანო, სასწავლო პროგრამით შესრულებულ ნაწარმოებებს და აქ იგრძნობოდა მოსწავლეთა და პედაგოგთა უდიდესი შრომა, რომლის ღიად სცენაზე გამოტანა აუცილებელი და სასურველია. რამეთუ მოსწავლეებმა იგრძნონ პასუხისმგებლობა დამსწრე საზოგადოების, მშობლების, მეგობრების წინაშე.

პედაგოგ ხათუნა სალიას კლასის მოსწავლეები შემდეგი პროგრამით წარსდგნენ:

გაბრიელ გიორგაძე II კლასი:ი. ჰაიდნი–ანდანტე,–მარინა არტ,–წვიმა;

სანდრო თოდუა II კლასი: მარინა არტ,– ჩრდილები;

გიორგი არზიანი II კლასი: გ. ჰენდელი–პასაკალია;

მარიამ ძაგანია II კლასი:–ფლამინგოების ცეკვა;

ანასტასია თოდუა V კლასი: ხალხური სიმღერა, ანსამბლი ორი ფორტეპიანოსთვის;

ლიზი სტეფანია VII კლასი: ი. დოგა–ვალსი;

მარია სტეფანია VII კლასი: ირ. ბულახოვას–სულის მელოდია;

ლიკა ჭითაშვილი VII კლასი: ჟ. ბიზე–ნაწყვეტი ოპერიდან „კარმენი“ ანსამბლი ორი ფორტეპიანოსთვის;

პედაგოგ ნათელა მარგველაშვილის კლასის პროგრამა:

ნია ფარცვანია II კლასი: ქართული ხალხური სიმღერა;

ბარბარე საჯაია IV კლასი: რ. შუბერტის ვალსი;

ნინა ბუკია IV კლასი: ი. შტრაუსის ვალსი;

ანასტასია ნადარაია VI კლასი: ს. პროკოფიევის „ტარანტელა“;

ანა თოდუა VII კლასი: მ. გლინკა–ვალსი, ჟ.ბიზე–ნაწყვეტი „კარმენიდან“ ანსამბლი ორი ფორტეპიანოსთვის.

მოსწავლეებმა შესანიშნავად გაართვეს თავი დაკისრებულ მოვალეობას.

ნორჩმა პიანისტებმა აპლოდისმენტები დაიმსახურეს... იყო ტაში და ოვაციები.

ხობი, სენაკი, ზუგდიდი–ეს ის სამუსიკო სკოლებია, რომლებიც წლების განმავლობაში მეგობრობენ, ეს ტრადიცია ითვლის 60 წელს.

მეგობრების–სენაკისა და ზუგდიდის სიმებიანი განყოფილების მოსწავლეები, ხობის სამუსიკო სკოლის საფორტეპიანო კონცერტის მსვლელობას შესანიშნავი ნომრებით მიესალმნენ და მოეფერნენ ხობელ თანატოლებს.

სენაკის სკოლის დირექტორი რუსუდან მილიუტინა, ვიოლინოს პედაგოგი ნათია შურღაია, კონცერტმეისტერი ინგა გადელია.

სენაკის სამუსიკო სკოლის მეხუთე კლასელმა ელენე ლომაიამ შეასრულა ვაჟა აზარაშვილის „ჩარსტონი“ და ვივალდის კონცერტი–a mol= ეს იყო ცნობილი სავიოლინო ნაწარმოებების უბადლო შესრულება. დარბაზმა ოვაციებით შეაფასა სცენაზე „ტიტასავით“ თავმომწონე მეხუთეკლასელი ელენე.

ზუგდიდის სამუსიკო სკოლა (დირექტორი მზია მატკავა, გიტარის კლასის პედაგოგები ანა და ნათია ანდრიაძეები. გიტარისტთა ჯგუფი: გიორგი წურწუმია, ლიზი გამახარია, ნინო ლომაია, ნატა გვასალია, ლაშა გაბედავა, გიგი მოლაშხია. სექტეტმა მსმენელისთვის შესრულა: ი. პიაცოლა–ლიბერტანგო, ე. ლოლანდი–კომპოზიცია ბოშურ თემაზე „საიდუმლო ბაღი“...

...ისხდნენ ნორჩი მუსიკოსები და აფრქვევდნენ ზღაპრულ ჰანგებს დარბაზის გასახარად...

შედგა ფრიად სასიამოვნო კონცერტი. მინდა აღვნიშნო, რომ ეს იყო მეგობრების ერთად დგომის უნიკალური ვერსია–ანუ ერთგვარი მასტერკლასი კრეატიული ხედვით.

ხობელი, სენაკელი, ზუგდიდელი მოსწავლეების მიერ საფორტეპიანო სიმებიანი თუ სიმებიან ხემიან ინსტრუმენტებზე შესრულებული კლასიკური, ქართველი თუ ევროპელი კომპოზიტორთა ნაწარმოებების საჯაროდ, საზოგადოების წინაშე შესრულებით გამოწვეული სიხარული ღიად გამოცდილების გაზიარება–დაუვიწყარი ისტორიული წამი.

კონცერტი დახურეს ნ. მარგველაშვილისა და ხ. სალიას მოსწავლეებმა ანა თოდუამ, ლიკა ჭითაშვილმა მათ შეასრულეს ბიზეს ოპერა „კარმენიდან“ ნაწყვეტი ორი ფორტეპიანოსთვის. ბოლო წერტილი იყო მონაწილე მოსწავლეების მიერ შესრულებული საქართველოს ჰიმნი.

...იყო დარბაზში მაისის ვარდების ცვენა...

საზოგადოებას, პედაგოგებს და შემსრულებლებს მიესალმა ხობის მუნიციპალიტეტის მერი **ბატონი დავით ბუკია,** ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ბატონი **ლევან ქავთარაძე**. სამუსიკო სკოლის მენეჯერი ქალბატონი **ნაზი ბერაია** და თქვენი მონამორჩილი ამავე სკოლის ყოფილი პედაგოგი, **ნანა ჯალალონია** (ძუკუ ლოლუას სახელობის ქართული ხალხური სიმღერის მუზეუმი „სამეგრელო“), მან კონცერტის სულისჩამდგმელ პედაგოგებს ნათელა მარგველაშვილს და ხათუნა სალიას, ასევე სკოლის მეგობრებს სენაკისა და ზუგდიდის სამუსიკო სკოლის პედაგოგებს მიულოცა წარმატებული დღე და საჩუქრად გადასცა დისკი, რომელიც 2007 წელს ხობის საერთაშორისო ფესტივალისთვის გოდერძი ბუკიას თაოსნობით გამოიცა.

ეს დისკი უნიკალურია იმითაც, რომ არის ოთარ თაქთაქიშვილის მიერ დაწერილი მეგრული სუიტა, რომელსაც ხობის საპატიო მოქალაქე, მსოფლიო ტენორი აწგარდაცვლილი ზურაბ სოტკილავა ასრულებს ანსამბლ „რუსთავთან“ მოსკოვის კამერული ორკესტრის „ვრემენა გოდას“ თანხლებით.

მე, როგორც სამუსიკო სკოლის ყოფილი პედაგოგი და დამსწრე საზოგადოების ერთ-ერთი წევრი, კულტურის დარგის მუშაკი, უდიდესი შრომისთვის, კონცერტის შესანიშნავად ჩატარებისთვის და მეგობრული მუხტის აწევისთვის მადლობას მოვახსენებ შესანიშნავ ახალგაზრდა, ნიჭიერ, ენერგიულ, კეთილსინდისიერ პედაგოგს ქალბატონ ხათუნა სალიას, ასევე სამუსიკო სკოლის 36 წლიანი დირექტორობის სტაჟის მქონე, სამუსიკო სკოლის დამსახურებულ პედაგოგს, ქალბატონ ნათელა მარგველაშვილს, რომელსაც უდიდესი წვლილი მიუძღვის ხობის სამუსიკო სკოლის დაარსება-ჩამოყალიბებაში. მან არაერთი თაობა აღზარდა, დააფრთიანა და ეს ის სკოლაა, სადაც დღეს პედაგოგის რანგში მოღვაწეობენ მისი ყოფილი მოსწავლეები და უკვე ჭარმაგი მასწავლებელი ენერგიულად ეწევა პედაგოგიურ მოღვაწეობას.

ჩემი გადასახედიდან ეს ერთგვარი მოთელვა-კონცერტი იყო, სამომავლოდ ახალი სასწავლო წლისთვის, რამეთუ ხობის სამუსიკო სკოლა უკვე „თმაშევერცხლილი“ საიუბილეოდ უნდა წარსდგეს საზოგადოების წინაშე, რადგან შემოდგომაზე მას უსრულდება 60 წელი.

სკოლა იუბილარია, წარმატებები თქვენ, ჩემო მეგობრებო, საიუბილეო კონცერტზე...

ნანა ჯალალონია.

სოციალური

13 ივნისის ტრაგედიიდან 8 წელი გავიდა

13 ივნისის ტრაგედიიდან რვა წელი გავიდა. მდინარე ვერეს ხეობაში მომხდარ სტიქიას ორი ხობელი ახალგაზრდა–ინდირა და ლიზი ზარანდიები ემსხვერპლა.

ხობის მუნიციპალიტეტის მერმა **დავით ბუკიამ** და საკრებულოს თავმჯდომარე **ლევან ქავთარაძემ** ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებთან ერთად პატივი მიაგეს ინდირა და ლიზი ზარანდიების ხსოვნას და მათი საფლავები ყვავილებით შეამკეს.

2015 წლის 13 ივნისს მომხდარ სტიქიას 21 ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა, ხოლო 2 ადამიანი უგზო-უკვლოდ დაიკარგა.

მიმოზა ღადუა

ძნელია წარსულ დროში წერო საყვარელ და ახლობელ, დამსახურებულ ქალბატონზე, ვისთანაც შენს ოჯახს ნათელმირონობა აკავშირებს.

ხობელ მედიკოსთა რიგებს გამოაკლდა კიდევ ერთი ექიმი და ყოფილი ხელმძღვანელი, ქალბატონი მიმოზა ღადუა. იგი ხობში დაიბადა პედაგოგი ქალბატონის ზინა ცხომარიასა და ბატონ ნიკოლოზ (კოლია) ღადუას ოჯახში. ის მათი ერთადერთი შვილი გახლდათ.

ლამაზი და ბედნიერი იყო მისი ცხოვრების ბავშვობის წლები. სტუდენტობა კი საუცხოო. სწავლობდა იქ, რაზედაც მთელი ბავშვობა ოცნებობდა. დაამთავრა ქალაქ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი და ხობს ექიმად მოევლინა. შემდეგ კი ათეული წლები რაიონული საავადმყოფოს მთავარი ექიმი და ამავე დროს გინეკოლოგიც გახლდათ. შემდგომ სხვადასხვა ადგილზე მუშაობდა, როგორც მედიკოსი. მონაწილეობდა და აქტიურობდა რაიონში გამართულ მნიშვნელოვან ღონისძიებებზე. იდგა ყოველთვის საჭირო დროს, საჭირო ადგილზე.

მიმოზამ იშვიათი მეგობრობა იცოდა, დიდ პატივს სცემდა და მეგობრობდა ყველა რანგის ადამიანთან. ყველას ტკივილი ტკიოდა და წარმატება უხაროდა. იგი იყო კარგი ადამიანური თვისებების მქონე, საუკეთესო ორგანიზატორი, პრინციპული, სამართლიანი, გულთბილი და თანამშრომლების მოყვარული, მათი ჭირისა და ლხინის მოზიარე და თანამდგომი.

მისი სიტყვა ფასობდა და ყველას, დიდსა თუ პატარას მალამოდ ედებოდა... როგორც სამედიცინო სფეროში, ასევე ყველგან. მან კარგად იცოდა სიყვარულის, მეგობრობის, ურთიერთობების ფასი.

სიყვარულით შექმნა ოჯახი შემდგომში ცნობილ ქირურგ დამირ ზარანდიასთან (ნათელში იყოს მისი სული). ჰყავს ექიმი ქალიშვილი ნინო და ვაჟიშვილი–მამუკა.

ვიცი, რა დიდი ტკივილისა და მწუხარების მომგვრელია შვილებისთვის დედასთან განშორება. მიმოზა საუცხოო დედა და ბებია გახლდათ, მზე და მთვარე ამოსდიოდა საყვარელ შვილიშვილებზე, ისინი მისი თვალისჩინები იყვნენ–ანი, ლევანი, ანდრია.

ცხოვრებამ ბევრი სიხარული, წარმატება და ბედნიერი დღეები არგუნა, ტკივილიც ბევრი, თუმცა ცხოვრებას მაინც ემადლიერებოდა...

წლებმა დაათოვა ქალბატონ მიმოზას, მაგრამ ყველაფერს ადვილად იტანდა. იცოდა, რომ კიდევ შესძლებდა მის საყვარელ ადამიანებთან ყოფნას. მაგრამ ერთი თითქოსდა უმნიშვნელო შემთხვევა, მისი გარდაცვალების მიზეზი გახდა. სამწუხაროა, კარგი ქალბატონის ასე წასვლა ამ ქვეყნიდან.

ნათელი დაადგეს მის საფლავს. მჯერა, იქნება იქ, სადაც მართალნი განისვენებენ.

ნანი კილასონია

ჩუტყვავილა ინფექციური დაავადებაა

უკანასკნელ პერიოდში, 2022 წლის შუა პერიოდიდან, საქართველოში ადგილი ჰქონდა ჩუტყვავილას შემთხვევების მატებას, თუმცა საგანგაშოდ არა.

ჩუტყვავილა ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული ინფექციური დაავადებაა. ის უფრო ხშირად გვხვდება სკოლამდელი ასაკის ბავშვებში. დაავადების აქტივობის პიკია შემოდგომა-ზამთრის პერიოდი.

დაავადება შესაძლოა გადავიდეს მძიმე ფორმებში:

ბულოზური ფორმა (რთულად მოშუშებადი წყლულების გაჩენა კანზე. ჰემორაგიული ფორმა (სისხლდენა ცხვირიდან, სისხლჩაქცევები კანზე, სისხლიანი ვეზიკულების გაჩენა).

განგრენული ფორმა (მსხვილი ვეზიკულების გაჩენა, კანზე შავი წარმონაქმნების გაჩენა, გარშემო ანთებითი პროცესი).

მიზეზი

დაავადება ვითარდება ორგანიზმში დნმ-გენომურ ვირუსის მოხვედრის გამო, რომელიც კლასიფიცირდება, როგორც ადამიანის მე-3 ტიპის ჰერპეს ვირუსი. ის გადამდებია ჰაერწვეთოვანი გზით, ასევე შეიძლება ვირუსი გადაეცეს ფეხმძიმე ქალისგან ნაყოფს.

ჩუტყვავილას სიმპტომები:

დაავადების ინკუბაციური პერიოდი გრძელდება 1-3 კვირის მანძილზე, ჩუტყვავილას **დამახასიათებელი სიმპტომებია:**

ზოგადი უგუნებობა, თავის ტკივილი, მადის დაკარგვა, სხეულის ტემპერატურის აწევა 39 გრადუსამდე, გულის რევა, ღებინება, გამონაყარი სახეზე, ყელზე, თავზე, კიდურებზე, წითელი ლაქების გაჩენა ხორხის, სასქესო ორგანოების ლორწოვან გარსზე და კონიუქტივიტზე.

დიაგნოსტიკა

ჩუტყვავილას მკურნალობის მეთოდებს ადგენს ექიმი-პედიატრი, რომელიც ატარებს პაციენტის საერთო დათვალიერებას, ასევე შესაძლოა რეაქცია, სისხლის საერთო ანალიზი, სეროლოგიური ანალიზი.

მკურნალობა

დაავადების მკურნალობის პირობები ბავშვებში და ზრდასრულებში ერთნაირად ინიშნება: წოლითი რეჟიმი, სითხის მიღება, გამონაყარზე „ბრილიანტის მწვანეს“ წასმა, პირის ღრუს ანტიბაქტერიარული სავლებით დამუშავება (პირში ლაქების გაჩენის შემთხვევაში), ანტივირუსული პრეპარატები, იმუნომოდულირებადი პრეპარატები.

დიეტა

დაავადების მკურნალობის პერიოდში რეკომენდებულია რძემცენარეული დიეტის დაცვა, რომელიც მოიცავს: ხილ-ბოსტნეულის წვნიანებს, რძის ფაფებს, რაციონიდან უნდა გამოირიცხოს მარილიანი, მჟავე და ცხარე საკვები.

საშიშროება

თუ არ მოხდება დაავადების დროული მკურნალობა, შესაძლოა, განვითარდეს შემდეგი სახის გართულებები: ენცეფალიტი, მხედველობითი ნერვების ნევრიტი, მენინგიტი, ცრუ კრუპი, აბსცესი, ართრიტი.

ჩუტყვავილა საშიშია ფეხმძიმე ქალებისთვის, რადგან შეიძლება გამოიწვიოს ნაყოფის თანდაყოლილი ჩუტყვავილა, ადრეული მშობიარობა, ნაყოფის დაღუპვა.

რისკ ჯგუფებს მიეკუთვნება: 10 წლამდე ბავშვები, იმუნოდეფიციტის მქონე ადამიანები (აივ-ინფიცირებულები) ზრდასრულები, რომლებსაც არ გადაუტანიათ ჩუტყვავილა ბავშვობაში.

ჩუტყვავილა უფრო მძიმედ მიმდინარეობს მოზრდილთა ასაკში და განსაკუთრებით იმ

პირებში, რომლებსაც აქვთ სუსტი იმუნური სისტემა. სიმპტომების შემთხვევაში პაციენტმა დროულად უნდა მიმართოს ოჯახის ექიმს. ინფექციის წყარო არის ჩუტყვავილათი დაავადებული ადამიანი გამონაყარის დაწყებამდე 2 დღით ადრე და გამონაყარიდან 7 დღის განმავლობაში.

პროფილაქტიკის მიზნით კანის ჰიგიენის დაცვა არის ერთ-ერთი ძირითადი რეკომენდაცია, ამიტომ ჩუტყვავილას დროს აუცილებელია ტანის დაბანა თბილი წყლით, რათა არ განვითარდეს მეორადი ინფექცია, ასევე საჭიროა თეთრეულის და საცვლების ყოველდღიურად გამოცვლა.

დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის ინფორმაციით, ჩუტყვავილას ვაქცინაცია ტარდება მხოლოდ აშშ-ში, სადაც ის სავალდებულოა. ასევე ევროკავშირის ზოგიერთ ქვეყანაში რეკომენდირებულია ვაქცინაცია. საქართველოში ჩუტყვავილას ვაქცინაცია რეგისტრირებულია და ვაქცინაცია შესაძლებელია მხოლოდ კომერციულ ქსელში.

ჯუმბერ ტურავა,
ხობის მუნიციპალიტეტის ა(აიპ) საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის დირექტორის მოადგილე, ექიმი პროფილაქტიკოსი.

ჩვენს მუნიციპალიტეტში

ხობში მუსიკალური საღამო გაიმართა

დღეს, ქალაქ ხობში, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის ორგანიზებით „მუსიკალური საღამო“ გაიმართა.

ხობის ცენტრალურ პარკში საპნის ბუშტების შოუ და ადგილობრივ მეწარმეთა ნაწარმის გამოფენა-გაყიდვა მოეწყო. ბავშვების მხიარულ განწყობაზე ზღაპრების გმირები, ანიმატორები და თითების თეატრის მსახიობები ზრუნავდნენ.

მუსიკალური საღამო ქართველი მომღერლების გალა-კონცერტით გაგრძელდა. მსმენელის წინაშე „თბილისური კვარტეტი, „ქართული ხმები“, „ჩვენი კვარტეტი“, ნათია პერანიძე, მაია ჯაბუა, ნუკრი კაპანაძე, ნეკა სებისკვერაძე, ნინო გულიაშვილი, ლიკა დოლიძე და „ლაიქ ბენდი“ ცნობილი ქართული სიმღერებით წარსდგნენ. კონცერტს, მსახიობი ჯანო იზორია უძღვებოდა.

ღონისძიებას სამეგრელო-ზემო სვანეთის სახელმწიფო რწმუნებული გიორგი გუგუჩია და ხობის მუნიციპალიტეტის მერი დავით ბუკია ესწრებოდნენ.

მოლდოვაში გამართულ ევროპის პირველობაზე ხობელმა მკლავჭიდელებმა სხვადასხვა სინჯის 7 მედალი მოიპოვეს.

ახალგაზრდებში:

I ადგილი–საბა დანელია (მარჯვენა და მარცხენა მკლავით).

ჭაბუკებში:

II ადგილი–მერაბ გვალია

III ადგილი–გიორგი ბუსქანძე

დიდებში.

I ადგილი–საბა დანელია (მარცხენა მკლავი);

I ადგილი–დათუნა ჟიშკარიანი (მარჯვენა მკლავი);

II ადგილი–დათუნა ჟიშკარიანი (მარცხენა მკლავი);

ვულოცავთ ხობელ მკლავჭიდელებს და მათ მწვრთნელს, კობა თუთბერიძეს ევროპის პირველობაზე წარმატებით ასპარეზობას!

დასრულდა, აგვისტოს ომის დროს დაღუპული კაპრალის, ზვიად დათუაშვილის სახელობის თასის გათამაშება მინი ფეხბურთში.

ტურნირის გამარჯვებული შუა ხორგის გუნდი გახდა, მეორე ადგილი ახალსოფლის გუნდმა დაიკავა, ხოლო მესამე ადგილზე გურიფულელები გავიდნენ.

გამარჯვებულ და პრიზიორ გუნდებს თასები, მედლები და სიგელები გადაეცათ.

მემორიალური ტურნირის ფინალურ შეხვედრას, ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებთან ერთად, ხობის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე დავით ბერაია ესწრებოდა.

საფეხბურთო ტურნირი მერიის მხარდაჭერითა და ა(ა)იპ „ხობის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო კლუბ „კოლხეთის“ ორგანიზებით ჩატარდა.

მოლოცვები

ლიზი და ლუკა ლიმჯარიებს!

ჩემო უსაყვარელესო, უმშვენიერესო და მონატრებულო შვილიშვილებო! გილოცავთ დაბადების დღეებს.

მუდამ ლამაზი, უღრუბლო და ბედნიერი ყოფილიყოს თქვენთვის ცხოვრების ყოველი წელი დედიკოსთან, მამიკოსთან და ყველა თქვენთვის საყვარელ ადამიანებთან ერთად.

თქვენი ყველა ოცნება და სურვილი რეალობად ქცეულიყოს. მეც მინდა თქვენთან ყოფნა და ბედნიერი, სიყვარულით სავსე წლების ერთად გატარება.

დამილოცნიხართ, ბებო! იყავით ჯანმრთელები და სასახელონი!

მაყვალა კილასონია

მარმარე ვაჯაჩიას!

ბარბი! გილოცავთ დაბადების დღეს. ჩვენ რედაქციელები შენი დაბადებიდან დღემდე თანაზიარები ვართ შენი ცხოვრების ყველა ნიუანსთან. ხომ იცი, ძალიან გვიყვარხარ. გვიხარია, რომ კარგი გოგონა ხარ უკვე მე-6 კლასელი.

იხარე და იბედნიერე შენს დედიკოსთან, მამიკოსთან და ბებოსთან ერთად. შენ ხომ მათი სული და გული ხარ.

გკოცნით მრავალჯერ!!!

მერი ლაგვილავა,
ნანი კილასონია, ნაირა ბერაია.

ხობის მუნიციპალიტეტის ბეჭდვითი ორგანო
გამომცემელი: ხობის მუნიციპალიტეტის კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოებრივი ცენტრი.

სარედაქციო კოლეგია: მერი ლაგვილავა, ნანი კილასონია, კობა კობახიძე, ბეჟან ნადარაია, ირაკლი შონია, თამთა ბუკია, ნაირა ბერაია, ჯულიეტა ლატარია (კომპიუტერული უზრუნველყოფა).
გაზეთი აეწყო და დაკაბადონდა ხობის მუნიციპალიტეტის კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოებრივ ცენტრში.

ტელ: 599-50-40-57; 577 60-22-21.
ელ. ფოსტა: xobismoambe@mail.ru.
დაბეჭდა შპს. გამომცემლობა „კოლორში“. თბილისი, რკინიგზის ჩიხი №20.
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
გაზეთში დაბეჭდილი მასალის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.